საქართველოს მთავრობის

დადგენილება №10

2020 წლის 8 იანვარი

ქ. თბილისი

„ბაზარზე განთავსებული პროდუქტების საფრთხის კატეგორიების განსაზღვრისა და რისკის შეფასების წესისა და ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 ნოემბრის №540 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ბაზარზე განთავსებული პროდუქტების საფრთხის კატეგორიების განსაზღვრისა და რისკის შეფასების წესისა და ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 ნოემბრის №540 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 14/11/2018, 240110000.10.003.020856) შეტანილ იქნეს ცვლილება და ამ დადგენილებით დამტკიცებული „ბაზარზე განთავსებული პროდუქტების საფრთხის კატეგორიების განსაზღვრისა და რისკის შეფასების წესის“ პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ინდუსტრიული და სამომხმარებლო პროდუქტების ბაზარზე ზედამხედველობისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია რისკის ანალიზის, საფუძვლიანი ეჭვის ან პროდუქტთან დაკავშირებული რისკის შესახებ ინფორმაციის საფუძველზე ზედამხედველობის განხორციელება, რომელსაც პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის (შემდგომში – კოდექსი) შესაბამისად ახორციელებს სსიპ – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის პირველი იანვრიდან.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**